



54-04-4-201506241058



**სსიპ საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს
ლევან მიქელაძის სახელობის
დიპლომატიური სასწავლო ცენტრის დირექტორის**

ბ რ ძ ე ნ ე ბ ა

№ 04-54; 24/06/2015

ქ. თბილისი

სსიპ საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ლევან მიქელაძის სახელობის დიპლომატიური სასწავლო ცენტრის საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე, მათ შორის, საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით გაცემასა და ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნებაზე პასუხისმგებელი პირების განსაზღვრის შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 36-ე მუხლის, „საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მოთხოვნისა და პროაქტიულად გამოქვეყნების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 26 აგვისტოს N219 დადგენილების მე-5 მუხლის შესაბამისად,

ვბრძანებ:

1. სსიპ საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ლევან მიქელაძის სახელობის დიპლომატიური სასწავლო ცენტრის საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე, მათ შორის, საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით გაცემასა და ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნებაზე პასუხისმგებელ პირად განისაზღვროს სსიპ საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ლევან მიქელაძის სახელობის დიპლომატიური სასწავლო ცენტრის დირექტორის მოადგილე თამარ კაციტაძე.
2. მიენიჭოს თამარ კაციტაძეს უფლებამოსილება ხელი მოაწეროს სასწავლო ცენტრის ბლანკზე საჯარო ინფორმაციის გაცემის შემთხვევაში.
3. საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე, მათ შორის, საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით გაცემასა და ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნებაზე პასუხისმგებელი პირის არყოფნის შემთხვევაში ამ ბრძანების პირველი და მე-2 პუნქტებით განსაზღვრული უფლებამოსილება მიენიჭოს სსიპ

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ლევან მიქელაძის სახელობის
დიპლომატიური სასწავლო ცენტრის მთავარ კონსულტანტს, ნინო არდიას.

4. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

მაია ყიფშიძე



სასწავლო ცენტრის დირექტორი